

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ირმა ღარიბაშვილი
წევრები:
დავით კუპატაძე
ია მოსაშვილი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
საიდენტიფიკაციო კოდი: **212693049**
სახე:

■ **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება**

□ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

—

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის **№732 ბრძანების (16.08.2019 წ)** საფუძველზე, **2019 წლის 30-31 აგვისტოს** განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აღნიშნული ბრძანებით განისაზღვრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
ირმა ღარიბაშვილი - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (თავმჯდომარე);
დავით კუპატაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი);
ია მოსაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი);

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის მონაწილეობა ვიზიტში მნიშვნელოვანია. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების შემთხვევაში, არ უნდა იქმნებოდეს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ უნდა იწვევდეს დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი 5 პროფესიული პროგრამის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. აღნიშნული პროფესიული პროგრამებია:

- **„საავტომობილო გზების მშენებლობა“ ;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

- **„ქარგვა“;**
- **„მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“;**
- **„მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“;**
- **„მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“.**

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს ავტორიზაცია მიენიჭა **6 წლის ვადით 2018 წლის 7 სექტემბერს (გადაწყვეტილება №61).** ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა **ზღვრული რაოდენობაა - 364.**

დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2018 წლის 2 მარტს მიღებულია №71 (17/18) დადგენილება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი ასახავს პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობის განსაზღვრისთვის გასათვალისწინებელ ფაქტორებს, რაც გულისხმობს სასწავლო (A, B, C) გარემოს და ადამიანურ რესურსს. დაწესებულების მიერ პროფესიული პროგრამების მიხედვით კვოტები <u>ერთ მიღებაზე</u> განისაზღვრა შემდეგნაირად:

- „საავტომობილო გზების მშენებლობა“ – 15 პროფესიული სტუდენტი.
- „ქარგვა“ -10 პროფესიული სტუდენტი.
- „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“- 15 პროფესიული სტუდენტი.
- „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“ - 15 პროფესიული სტუდენტი.
- „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ - 15 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა მიერ, ვიზიტისას გადამოწმდა საგანმანათლებლო დაწესებულების პირობები ავტორიზაციის სამივე სტანდარტის მიხედვით. შეხვედრა განხორციელდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებთან, კომპანიის ხელმძღვანელებსა და ინსტრუქტორებთან. ექსპერტებმა შეამოწმეს უნივერსიტეტის მატერიალური რესურსი ყველა პროგრამისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტები. ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული „ვიზიტის დღის წესრიგის“ მიხედვით. **(დანართი 1).**

აღსანიშნავია, რომ როგორც უმაღლესი, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის გამოიყენება აწსუ-ს საკუთრებაში მყოფი მატერიალური რესურსი, კერძოდ შენობა-ნაგებობები, ინვენტარი და აღჭურვილობა. უნივერსიტეტის აკადემიური და დამხმარე პერსონალი ახორციელებს როგორც უმაღლეს, ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. **მატერიალური (ინვენტარი და აღჭურვილობა) და ადამიანური რესურსის გადამოწმებით დადგინდა, რომ პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკები არ არსებობს, მით უფრო, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია გამოთქვამს მზაობას უახლოეს მომავალში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის ცალკე სტრუქტურული ერთეულის - <u>პროფესიული ცენტრის შექმნის შესახებ.</u>**

ექსპერტებმა მოისმინეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხედვა პროფესიული პროგრამების განვითარებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებით. პროგრამებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაციას, მექანიზმებს, მათი გამოყენების დამადასტურებელ საბუთებსა და უნივერსიტეტის მარეგულირებელ დოკუმენტაციას. გადამოწმდა ადამიანური რესურსების პირადი საქმეები. დაწესებულებას გააჩნია თანხმობა, ავტორიზაციის ან სხვა საქმისწარმოების მიზნებისთვის, შესაბამისი პირების პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ (აფილირების ხელშეკრულებები და ხელშეკრულებები).

ექსპერტთა ვიზიტის პირველივე დღეს ჩატარდა ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა მატერიალურ - ტექნიკური ბაზა და გადაამოწმა საბიბლიოთეკო რესურსის სტანდარტთან შესაბამისობა დასამატებელი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში გადაამოწმა უნივერსიტეტის ვებგვერდი, კატალოგი და რეესტრის ბაზა.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ჯგუფის წევრებს შორის გაწეული მუშაობის შემაჯამებელი მოსაზრებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

ვიზიტი წარიმართა კომფორტულ ვითარებაში, ორი დღის განმავლობაში ჩამოყალიბდა კონსტრუქციული თანამშრომლობა ექსპერტებსა და საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს შორის.

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	☐
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

	თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.			
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი),	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

	რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.			
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

	სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.			
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	□
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	□
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	□	■
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

	რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:			
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	■	□
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	■	□
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	■	□
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

	ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;			
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	□	■
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

	ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.			
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	□
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	□
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

	ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.			

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

- დაწესებულებას აქვს თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა. დაწესებულების ბიბლიოთეკის წიგნსაცავი უზრუნველყოფილია გაზით ავტომატური ხანძარსაქრობი თანამედროვე სისტემით "NOVEC 1230", რომლის გამოყენების შემთხვევაშიც წიგნები არ დასველდება;
- დაწესებულების სასწავლო კორპუსებში დამონტაჟებულია თვითმომსახურების ტერმინალები სტუდენტებისთვის, მათ შორის პროფესიული სტუდენტებისთვის. ტერმინალები საშუალებას აძლევს სტუდენტს მიიღოს ელექტრონული სერვისები უნივერსიტეტის სათაო კორპუსში მიუსვლელად.
- დაწესებულების ვებგვერდი ოპტიმიზირებულია შშმ პირებისთვის.

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ქვესტანდარტი 2.7.

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონკრეტული პროგრამების განსახორციელებლად განკუთვნილი სასწავლო გარემო (ახალგაზრდობის გამზირი N98; ახალგაზრდობის II შესახვევი 23) არ არის სრულად ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების (სსსმ) მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

ქვესტანდარტი 1.1.

- სასურველია ხელშეკრულებით განისაზღვროს პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რათა ნათელი იყოს თუ მაქსიმუმ რამდენი სტუდენტის მიღება შეუძლია კომპანიას;
- სასურველია საწარმოსთან გაფორმებულ მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში გაჩდეს ჩანაწერი პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის ვალდებულების შესახებ.

ქვესტანდარტი 2.9.

- ყოველწლიურად შემუშავდეს ანგარიში პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ;
- შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშები განთავსდეს დაწესებულების ვებგვერდზე;

ქვესტანდარტი 3.2.

- სასურველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალისთვის მოეწყოს ვორკშოპები, ტრენინგები და საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები მოდულური პროგრამების სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში.

VII. დაწესებულების მისია

საგანმანათლებლო დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია „უნივერსიტეტის მისია“ (https://atsu.edu.ge/index.php), რომელშიც ნათქვამია, რომ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებს და ეწევა აქტიურ კვლევით საქმიანობას. უნივერსიტეტი ეფუძნება რა ფაზისისა და გელათის აკადემიების ტრადიციებს, „უნივერსიტეტების დიდი ქარტიის“ პრინციპებსა და უმაღლესი განათლების ეროვნულ და ევროპულ სტანდარტებს, ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები. უნივერსიტეტი აცნობიერებს საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას და მიზნად ისახავს, თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში. ამ მიზნით იგი უზრუნველყოფს მთელი ცხოვრების მანძილზე უწყვეტი განათლების პროგრამებისა და სერვისების მიწოდებას, ახალი ცოდნის შექმნა-გავრცელებასა და სხვადასხვა დაინტერესებულ პირთან ერთად ჩართულია საზოგადოებრივი პოლიტიკის ფორმირების პროცესში“.

უნივერსიტეტის მისია შეესაბამება საქართველოში პროფესიული განათლების მიზნებს.

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
სსიპ - „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირის - აკადემიური საბჭოს **მიერ 2019 წლის 7 აგვისტოს გამოცემული დადგენილება №82 (18.19) „პროფესიული პროგრამების დამტკიცების შესახებ“.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეს პროგრამებია - **„მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, „საავტომობილო გზების მშენებლობა“ და „ქარგვა“.** აღნიშნულ დოკუმენტში განსაზღვრულია <u>პროგრამის ხელმძღვანელები.</u>

აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემულია **№49(17/18)** დადგენილება **„საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP – QA“**, სადაც გაწერილია **საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა.** პროცედურის ტიპი - ოპერაციული; პროცედურის წარმმართველი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია პროცედურის მიზანი - ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების გზების შესახებ; პროცედურის განხორციელების წესებისა და ვადების შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება ხდება ფაკულტეტის საბჭოზე. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის შემუშავებულ პაკეტს წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური პროგრამას წარადგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად.

„საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის - EP – QA“ დოკუმენტს თან ახლავს შემდეგი დანართები:

- **დანართი 1- EP – QA-1.1.** საგანმანათლებლო პროგრამის იდეის აპლიკაციის ფორმა;
- **დანართი 2- EP – QA-1.1** პროგრამის ხელმძღვანელებისადმი წაყენებული მოთხოვნები (პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნა ხდება რექტორის ბრძანებით);
- **დანართი 5.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია.

ცენტრის მიერ წინასწარ გამოგზავნილი დოკუმენტაციის გადამოწმების და განხორციელებული ვიზიტის შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროგრამის დამტკიცების და მასში ცვლილებების შეტანისთვის დადგენილი პროცედურა დაწესებულების მიერ დაცულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, მოცულობა, მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტების მინიჭების პირობები, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების პირობები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის ინფორმაცია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამები და მოდულები ადაპტირებულია. ექსპერტთა მიერ შემოწმდა სასწავლო გეგმები, სადაც დაცულია პროგრამის შესაბამის მოდულებში განსაზღვრული წინაპრობები. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით არ აღემატება საქართველოს ორგანული კანონით **„საქართველოს შრომის კოდექსით“** განსაზღვრულ პირობებს.
პროგრამების განხორციელებისთვის დაწესებულებას აქვს არგუმენტირებული საფუძველი (პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობისათვის შრომის ბაზრის მოთხოვნები და საჭიროებების კვლევა), რომელიც წარმოდგენილი იყო ვიზიტის პერიოდში. საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურება ასევე ადასტურებს პროგრამების აქტუალობას რეგიონში.

.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -„საავტომობილო გზების მშენებლობა“.

პროგრამა შედგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის“ საფუძველზე.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში/Basic Vocational Qualification in Road Construction.

სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0732

დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია მინიმალური 18 წელი.

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა-30.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი „მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დასაბუთების“ დოკუმენტის მიხედვით, 15-15 სტუდენტის მიღება განხორციელდება საშემოდგომო და საგაზაფხულო მიღებაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A, B და C ტიპის სასწავლო გარემო.
A გარემო განსაზღვრულია – 15 პროფესიული სტუდენტისთვის; B გარემო – 15 პროფესიული სტუდენტისთვის; C გარემო - 15 პროფესიული სტუდენტისთვის.

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს **90 კრედიტი;** რომელთაგან **14** კრედიტი არის ზოგადი მოდულები, **18** კრედიტი საერთო პროფესიული მოდულები, ხოლო 47 კრედიტი კონცენტრაცია - საავტომობილო გზების მშენებლობის მოდულები, 11 კრედიტი საავტომობილო გზების მშენებლობის არჩევითი მოდულები.
პროგრამაზე სწავლება განხორციელდება მოდულური მიდგომით.
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:
ქართულენოვანი სტუდენტებისთვის:
მოცულობა: **90 კრედიტი.**
ხანგრძლივობა: **16 სასწავლო თვე.**
არაქართულენოვან სტუდენტებისათვის:
მოცულობა: **105 კრედიტი.**
ხანგრძლივობა: **19 სასწავლო თვე.**

სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტის კვირეული დატვირთვა არის 30÷35 საათი.

კოლეჯს პროგრამის ფარგლებში ხელშეკრულება აქვს გაფორმებული 3 სამშენებლო კომპანიასთან.

1.შპს „დაგი+“ (იურიდიული მისამართი - ქ. ქუთაისი, წერეთლის ქ. 192; 29.07.2019) - პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა ხელშეკრულების ფარგლებში არ არის წინასწარ განსაზღვრული. ხელშეკრულების მესამე პუნქტში (მხარეთა უფლება-მოვალეობანი) გაწერილია, რომ უნივერსიტეტი პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის მიღებიდან ერთი თვის შემდეგ აცნობებს კომპანიას სტუდენტთა რაოდენობას და მოდულების განხორციელების ვადებს. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება პროგრამის განხორციელების უფლების ვადით. ხელშეკრულების საგნად განსაზღვრულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულები, რომელთა განხორციელების პროცესში კომპანია უზრუნველყოფს C გარემოს ფართით, საწარმოო ბაზით, ინვენტარით, მასალითა და პერსონალით. <u>ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ გარკვეული მოდულებისთვის გარემოს (პრაქტიკული მეცადინეობების 32 %) კომპანიები უზრუნველყოფენ. ეს მოდულებია - მიწის ვაკისის მოწყობა, პრაქტიკული პროექტი - საავტომობილო გზების მშენებლობა, საავტომობილო გზების მშენებლობის სამუშაო პროცესის ორგანიზება, საგზაო საფარის მოწყობა, არსებული საავტომობილო გზების ექსპლუატაცია - რეაბილიტაცია.</u> უსდ იღებს ვალდებულებას, რომ ანგარიშსწორება მისი მხრიდან მოხდება შესაბამისი მოდულის დასრულებიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში. ანაზღაურდება საწარმოს მხრიდან გამოყოფილი სპეციალისტის მიერ შესრულებული აკადემიური საათების, მასალების და ნედლეულის შესაბამისი ღირებულება.

2. შპს „ტობე“ (იურიდიული მისამართი - ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. 4; 29.07.2019) - პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა ხელშეკრულების ფარგლებში არ არის წინასწარ განსაზღვრული. ხელშეკრულების მესამე პუნქტში (მხარეთა უფლება-მოვალეობანი) გაწერილია, რომ უნივერსიტეტი პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის მიღებიდან ერთი თვის შემდეგ აცნობებს კომპანიას სტუდენტთა რაოდენობას და მოდულების განხორციელების ვადებს. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება პროგრამის განხორციელების უფლების ვადით. ხელშეკრულების საგნად განსაზღვრულია მოდულები, რომელთა განხორციელების პროცესში კომპანია უზრუნველყოფს C გარემოს ფართით, საწარმოო ბაზით, ინვენტარით, მასალითა და პერსონალით. <u>ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ გარკვეული მოდულებისთვის გარემოს (პრაქტიკული მეცადინეობების 32 %) კომპანიები უზრუნველყოფენ. ეს მოდულებია - მიწის ვაკისის მოწყობა, პრაქტიკული პროექტი - საავტომობილო გზების მშენებლობა, საავტომობილო გზების მშენებლობის სამუშაო პროცესის ორგანიზება, საგზაო საფარის მოწყობა, არსებული საავტომობილო გზების ექსპლუატაცია - რეაბილიტაცია.</u> უსდ იღებს ვალდებულებას, რომ ანგარიშსწორება მისი მხრიდან მოხდება შესაბამისი მოდულის დასრულებიდან 10 საბანკო დღის განმავლობაში. ანაზღაურდება საწარმოს მხრიდან გამოყოფილი სპეციალისტის მიერ შესრულებული აკადემიური საათების, მასალების და ნედლეულის შესაბამისი ღირებულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **შპს „გზამშენი XXI“** (იურიდიული მისამართი - ქ. ქუთაისი, ზ. ანჯაფარიძის ქ. 100ა; 29.07.2019). აღსანიშნავია, რომ <u>სამივე კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებების შინაარსი იდენტურია.</u>

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ექსპერტებმა განახორციელეს ვიზიტი კომპანიაში - **შპს „დაგი+“**. კომპანიის მთავარმა მენეჯერმა აღნიშნა, რომ მათი კომპანია არის ერთ-ერთი დიდი კომპანია დასავლეთ საქართველოში. ისინი აწარმოებენ საქმიანობას რეგიონის სხვადასხვა ადგილებში და ასევე სხვადასხვა რეგიონებში (ამბროლაური - ურავის გზის მონაკვეთი). კომპანიას შეუძლია ერთდროულად 15 სტუდენტის მიღება. სრულად უზრუნველყოფენ პროგრამას მატერიალურ - ტექნიკური რესურსით. კომპანიას საკუთრებაში აქვს ყველა ის მანქანა-მექანიზმები, რომელიც საჭიროა საავტომობილო გზების მშენებლობისას. ექსპერტების შეკითხვაზე, თუ როგორ უზრუნველყოფენ პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების დაცვას, კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პირველი სექტემბრიდან კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ავალდებულებს კომპანიაში 2 უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანას. სწორედ ისინი უზრუნველყოფენ მათ მიერ გამოყოფილ ინსტრუქტორთან ერთად პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოების დაცვას.

2.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ქარგვა“.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ქარგვა“ შემუშავებულია საგანმანათლებლო სტანდარტის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის, სარეგისტრაციო ნომერი - 02126-პ) „მხატვრული ქსოვილები/Artistic Fabrics“ საფუძველზე.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ქარგვაში/Basic Vocational Qualification in Embroidering.

სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 0214.

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა - 20.

პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A და B ტიპის სასწავლო გარემო.

A გარემო განსაზღვრულია - 10 პროფესიული სტუდენტისთვის; B გარემო - 10 პროფესიული სტუდენტისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს **75 კრედიტი;** რომელთაგან **18** კრედიტი არის ზოგადი მოდულები, **20** კრედიტი საერთო პროფესიული მოდულები, ხოლო 37 კრედიტი - პროფესიული მოდულები.

პროგრამაზე სწავლება განხორციელდება მოდულური მიდგომით.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის:

მოცულობა: **75 კრედიტი.**

ხანგრძლივობა: **14 სასწავლო თვე.**

არაქართულენოვან სტუდენტებისათვის:

მოცულობა: **90 კრედიტი.**

ხანგრძლივობა: **17 სასწავლო თვე.**

სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტის კვირეული დატვირთვა არის 30 ÷35 საათი.

კოლეჯს პროგრამის ფარგლებში ხელშეკრულება აქვს გაფორმებული 2 დაწესებულებასთან.

1.შპს „ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი". (იურიდიული მისამართი - ქ. ქუთაისი, პუშკინის ქ. 18).

2.ი.მ. „მარიამ იობიძე". (იურიდიული მისამართი - ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის ქ. 25) – ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა - 10 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა საწარმოსთან - ი.მ. „მარიამ იობიძე". საწარმოს ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ის შეასრულებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებსა და ვალდებულებებს. მას ერთდროულად შეუძლია 10 პროფესიული სტუდენტის მიღება. საწარმო ღებვის მოდულის განხორციელებისათვის უზრუნველყოფს „თერმო პრესის" და „ჭავლური პრინტერის" გამოყენებას.

3.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისი“-ს (07119-პ) საფუძველზე.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში/Basic Vocational Qualification in Vehicle Repair

სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი - 0716

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა - 30.

საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს - **81 კრედიტი.** პროგრამა მოიცავს **6 ზოგად მოდულს** ჯამური **16** კრედიტის ოდენობით, **6 საერთო პროფესიულ მოდულს** ჯამური **17** კრედიტის ოდენობით, **4 პროფესიულ მოდულს** ჯამური **10** კრედიტის ოდენობით და კონცენტრაციის - **ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება -** 14 მოდულს ჯამური **38** კრედიტის ოდენობით.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის:

მოცულობა: **81 კრედიტი.**

ხანგრძლივობა: **14 სასწავლო თვე.**

არაქართულენოვან სტუდენტებისათვის:

მოცულობა: **96 კრედიტი.**

ხანგრძლივობა: **17 სასწავლო თვე.**

აღსანიშნავია, რომ—მოდულში „გაცნობითი პრაქტიკა - ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისებში“ მითითებული 6 სასწავლო რესურსიდან რეალურად შესაძლებელია მხოლოდ 3 სასწავლო რესურსის გამოყენება (მითითებულიდან 3 „ლინკი“ არ მუშაობს).

აღსანიშნავია, რომ ექსპერტებმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელს გააცნეს პროგრამებში არსებული ტექნიკური უზუსტობები. მან აღნიშნა, რომ გაითვალისწინებენ და გაასწორებენ განხილულ უზუსტობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

4.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“

პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანინულების ავტოტრანსპორტის სერვისი“-ს (07119-პ) საფუძველზე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში/ Basic Vocational Qualification in Vehicle Repair

სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0716

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა - 30.

საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს - **58 კრედიტი.** პროგრამა მოიცავს **6 ზოგად მოდულს** ჯამური **16** კრედიტის ოდენობით, **6 საერთო პროფესიულ მოდულს** ჯამური **17** კრედიტის ოდენობით, **4 პროფესიულ მოდულს** ჯამური **10** კრედიტის ოდენობით და კონცენტრაციის - სავალი ნაწილის შეკეთება - 5 მოდულს ჯამური **15** კრედიტის ოდენობით.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის:

მოცულობა: 58 კრედიტი.

ხანგრძლივობა: **10 სასწავლო თვე.**

არაქართულენოვან სტუდენტებისათვის:

მოცულობა: **73 კრედიტი.**

ხანგრძლივობა: **13 სასწავლი თვე.**

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება“.

პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანინულების ავტოტრანსპორტის სერვისი“-ს (07119-პ) საფუძველზე.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში/ Basic Vocational Qualification in Vehicle Repair

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი: 0716

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა-30

საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს: - **57** კრედიტი. პროგრამა მოიცავს **6 ზოგად მოდულს** ჯამური **16** კრედიტის ოდენობით, **6 საერთო** პროფესიულ მოდულს ჯამური **17** კრედიტის ოდენობით, **4 პროფესიულ მოდულს** ჯამური **10** კრედიტის ოდენობით და კონცენტრაციის - ძრავას შეკეთება - 5 მოდულს ჯამური **14** კრედიტის ოდენობით.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის:

მოცულობა: 57 კრედიტი.

ხანგრძლივობა: **10 სასწავლო თვე.**

არაქართულენოვან სტუდენტებისათვის:

მოცულობა: **72 კრედიტი.**

ხანგრძლივობა: **13 სასწავლი თვე.**

კოლეჯს **„მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“, „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“ და „მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთების“ პროგრამების** ფარგლებში მემორანდუმები აქვს გაფორმებული 3 სამშენებლო კომპანიასთან. მემორანდუმები გაფორმებულია 2019 წლის 23 ივლისს, რომელიც ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მანამ, სანამ ერთი (ან ორივე) მხარე არ მოისურვებს მის შეწყვეტას.

1.შპს „ჯეა“ მემორანდუმით უზრუნველყოფს მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების C გარემოთი გათვალისწინებული ელექტრო და ჰიბრიდული ავტომობილების სერვისის აპარატურაზე და თვლების თავშეყრის კორექტირების აპარატზე, 15 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული მეცადინეობის გავლას.

ექსპერტებმა განახორციელეს ვიზიტი საწარმოებში, სადაც მოახდინეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელებთან ინტერვიურება.

შპს „ჯეა“-ს ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სურთ ხელი შეუწყონ ახალგაზრდა კადრების, მომავალი სპეციალისტების მომზადებას. ასევე აღნიშნა, რომ წარმოება მზადაა შეასრულოს მემორანდუმით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულებები. ექსპერტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეკითხვაზე თუ რამდენად უზრუნველყოფს წარმოება 15 პროფესიული სტუდენტის ერთდროულად მიღებას, ინტერვიურებით დადგინდა, რომ მოხდება პროფესიული სტუდენტების გადანაწილება სხვადასხვა სივრცეში. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ პროფესიული სტუდენტისათვის მნიშვნელოვანია საწარმოსთან შეხება, უშუალოდ ავტომობილის სარემონტო პროცესში ჩართვა.

პროფესიული სტუდენტის სააუდიტორიო პირობებში, სამივე პროგრამაში, კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა ასახულია სასწავლო გეგმაში.

ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდული ადაპტირებულია წესების დაცვით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელებთან და სწავლების განმახორციელებელ პირებთან, რომელთა უმრავლესობა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალია. სწავლების განსახორციელებლად დაწესებულებას მოწვეული ყავს ასევე პრაქტიკოსი კვალიფიციური სპეციალისტები. სწავლების განმახორციელებელი პირებიდან ნაწილს არ აქვს მოდულურ პროგრამებზე სწავლების გამოცდილება, ნაწილი კი მონაწილეობას იღებდა პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების შემუშავებაში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ჩაატარებენ შეხვედრებს და ტრენინგებს/ვორკშოპებს იმ პირებთან, რომლებიც საჭიროებენ შეფასების და სწავლების პირობების გაცნობას. ექსპერტთა შეკითხვაზე, <u>თუ რა საჭიროებები აქვთ მათ, ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასურველია მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ეროვნულმა ცენტრმა გამოიჩინოს უფრო მეტი ყურადღება იმ უნივერსიტეტების მიმართ, რომლებიც ახორციელებენ პროფესიულ სწავლებას. მათ სურთ, რომ სწავლების განმახორციელებელი პერსონალი გადამზადდეს სხვადასხვა მიმართულებით (დარგობრივი, პროფესიულ სტუდენტთა შეფასება).</u>

პროგრამის ხელმძღვანელებმა ისაუბრეს, თუ რა კვლევებს და შეფასებებს დაეყრდნენ პროგრამების შერჩევისა და პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისათვის. მაგალითად, მსუბუქი ავტომობილების მიმართულებით პროგრამის განხორციელებაზე გადაწყვეტილების მისაღებად დაეყრდნენ „თეგეტა მოტორსის“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიერ 2018 წელს ჩატარებულ ბაზრის კვლევებს. გეგმავენ, რომ მომავალში ასეთ კვლევებში თვითონაც ჩაერთვებიან. აღნიშნული მიმართულებით დასაქმების მაჩვენებელი დიდია.
ინტერვიურებისას პროგრამის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ ბიზნესის მხრიდან ინტერესი მატულობს. არის კომპანიები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალისტებს. საავტომობილო გზების მშენებლობა ძალზედ აქტიურად მიმდინარეობს დასავლეთ საქართველოში - შენდება ავტობანები, ახალი გზები. ამდენად, ამ მიმართულებით დიდია გზის მშენებელ სპეციალისტებზე მოთხოვნა.
ქარგვის პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სამოდელო სახლები საჭიროებენ აღნიშნული მიმართულების სპეციალისტებს. 2017 წელს არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით გაირკვა, რომ ეს მიმარულება ტურისტული თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2019 წლის 7 აგვისტოს დადგენილება №82 (18.19) „პროფესიული პროგრამების დამტკიცების შესახებ“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
- დადგენილება №49(17/18) „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP – QA“ პირველი, მე-2 და მე-5 დანართებით;
- 2018 წლის 2 მარტის №71(17/18) დადგენილება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ შესახებ;
- საწარმოებთან და კომპანიებთან გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- საწარმოებში ვიზიტი;
- ინტერვიუ პროგრამების განმახორციელებელ პირებთან.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებგვერდზე https://atsu.edu.ge/images/katalogi-ATSU-Prof%202018-2019.pdf განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც მოიცავს ქვესტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო ინფორმაციას პროგრამის მიზნების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.
ამჟამად უნივერსიტეტში პროფესიული მიმართულებით სწავლა ხორციელდება 9 მოდულური პროგრამის ფარგლებში, კერძოდ:

- ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი V საფეხური
- ბიბლიოთეკარი IV საფეხური
- ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება III საფეხური
- მხატვრული ქსოვილები III საფეხური
- ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი V საფეხური
- ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი IV საფეხური
- საბაჟო საქმე V საფეხური
- სარეკლამო აგენტი IV საფეხური
- სისტემების ადმინისტრატორი V საფეხური

<u>კატალოგში ასევე დაანონსებულია ინფორმაცია ახალი პროფესიული მოდულური პროგრამების დამატების შესახებ.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი.
- უნივერსიტეტის ვებგვერდი https://atsu.edu.ge/images/katalogi-ATSU-Prof%202018-2019.pdf

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. თითოეული პროგრამის სწავლის შედეგებში მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, თუ რა ეცოდინება, რისი გაკეთება შეეძლება და რა ფასეულობებს შეიძენს სტუდენტი პროგრამის დასრულების შემდეგ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

- ☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, უფლება-მოვალეობები, მიღწევების შეფასების ერთიანი პროცედურა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები.
უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ არ ყავთ სტატუს შეჩერებული სტუდენტი. ყავთ ერთი სტატუს შეწყვეტილი სტუდენტი, რომლის საფუძველი არის პროფესიული სტუდენტის გარდაცვალება.

უსდ-ის მიერ დაცულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების **მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბერის №152/ნ** ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით განსაზღვრული ვადები.

ექსპერტთა შეფასებით პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა, მობილობა, მიღებული განათლების აღიარება ხდება დაწესებულების რეგულაციისა და სრული კანონმდებლობის დაცვით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ემისის ბაზა;
- პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5. დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

უნივერსიტეტის ვებგვერდზე https://atsu.edu.ge/index.php/prof-programs/documents განთავსებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც მე-8 მუხლში გაწერილია პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.

დაწესებულებას ხელშეკრულება აქვს გაფორმებული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, რომელიც ახორციელებს ორი პროგრამის სწავლებას, კერძოდ - **„მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება“ და „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“.** აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია თავის წიაღში ალტერნატიული პროგრამის შეთავაზება - მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება (ხელშეკრულება №01-08-15/695-2019-2; 11.06.2019).

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის“ მიხედვით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა მომიჯნავე პროგრამებზე გადაყვანას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „ქარგვის“ პროგრამის ფარგლებში, უნივერსიტეტს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან არ აქვს მემორანდუმები გაფორმებული, ვინაიდან დასავლეთ საქართველოში ამ პროგრამებზე სწავლებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არცერთი საგანმანათლებლო დაწესებულება არ ახორციელებს. „ქარგვის“ პროგრამის შემთხვევაში დაწესებულება პროფესიულ სტუდენტებს შესთავაზებს „მხატვრული ქსოვილების“ მოდულურ პროგრამაზე სწავლის გაგრძელებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სტუ-თან გაფორმებული ხელშეკრულება №01-08-15/695-2019-2 (11.06.2019);
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის ვებგვერდზე https://atsu.edu.ge/index.php/shida-uzrunvelyofa-info/shida-uzrunvelyofa ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიმართულებით განთავსებულია შემდეგი დოკუმენტები:
1.აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
2. პოლიტიკა, პროცედურები და დანართები;
3. ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა;
4. შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, დამტკიცებული სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ **(დადგენილება №157; 28.02.2018 წ).** დოკუმენტში გაწერილია სამსახურის მიზნები, ფუნქცია-მოვალეობები, უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს და თანამდებობებს: სამსახურის უფროსი, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების განყოფილება - საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების განყოფილების უფროსი, მთავარი სპეციალისტი, სპეციალისტი; პროფესიული პროგრამების სექტორი - პროფესიული პროგრამების სექტორის კოორდინატორი; - 3 - დოქტორანტურის განყოფილება - დოქტორანტურის განყოფილების უფროსი, სპეციალისტი; მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორი - მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორის უფროსი, მთავარი სპეციალისტი, უფროსი სპეციალისტი.

უნივერსიტეტის „ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციაში“ გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიზნები. ამ მიზნებისათვის აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ოპერირებს შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტებით და იყენებს ციკლურ პროცესს, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება (PDCA ციკლი). აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის სისტემა შედგება სხვადასხვაგვარი პოლიტიკისაგან, პროცედურებისა და ინსტრუქციებისგან/წესებისგან/გზამკვლევებისგან, რომლებზე დაყრდნობითაც წარიმართება უნივერსიტეტის საქმიანობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება სამ ძირითად პოლიტიკას:

1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA;
2. კვლევის განვითარების პოლიტიკა - RE-QA;
3. მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA;

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მიზანია, ხელი შეუწყოს მაღალი აკადემიური სტანდარტების მქონე, შედეგზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების (აკადემიური და პროფესიული) შექმნასა და განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა- EP-QA ხორციელდება სამი პროცედურის საშუალებით:

<u>EP-QA 1.1 საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა;</u>

<u>EP-QA 1.2 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა;</u>

<u>EP-QA 1.3 მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა.</u>

მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA ხორციელდება ორი პროცედურის საშუალებით:

<u>ME-QA 3.1 თვითშეფასებისა და ანგარიშგების პროცედურა;</u>

<u>ME-QA 3.2 მართვის ეფექტიანობის შეფასების პროცედურა.</u>

დაწესებულების წარმომადგენელმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ <u>ყოველ სასწავლო პროგრამაზე სწავლების დაწყების წინ</u> გამოდის რექტორის ბრძანება, რომელშიც ასახულია შემდეგი ინფორმაცია:

- საგანმანათლებლო პროგრამებზე მოწვეული სპეციალისტებისათვის სასწავლო დატვირთვის ნორმატივების, სასწავლო გარემოს მიხედვით ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროგრამის ხელმძღვანელების გამოყოფის შესახებ;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებისა და საათობრივი ანაზღურებით მოწვეული სპეციალისტების ანაზღაურების ნორმების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შიდა მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის, პროფესიული სტუდენტების შეფასების მტკიცებულებების შენახვის ვადებისა და მტკიცებულებების შენახვაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ;
- პროფესიული სტუდენტების შეფასების უწყისის ფორმისა და უწყისის წარმოების წესის, პროფესიული სტუდენტის, პედაგოგის გამოკითხვის, მეცადინეობაზე დასწრების ოქმის, შეფასების ინსტრუმენტების შემოწმების კითხვარის ფორმების დამტკიცებისა და პროცედურის ვადების განსაზღვრის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

პროგრამების შესაფასებლად შემუშავებულია შემდეგი ფორმები - სწავლის შედეგების უწყისი, შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, კითხვარი სტუდენტებისთვის, კითხვარი მასწავლებლებისთვის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სააუდიტორიო მუშაობაზე დასწრების ოქმი, შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების კითხვარი. შეფასების პროცედურა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა გამოკითხვა;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი;
- პროგრამის განხორციელებელი პერსონალის გამოკითხვა;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა;
- დამსაქმებელთა გამოკითხვა;
- შიდა შეფასების ანგარიშები.

ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს და პროგრამის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისათვის. ფაკულტეტის საბჭოს მიერ რეკომენდაციების გაზიარების შემთხვევაში ის სავალდებულო ხდება განსახორციელებლად.

უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ (**2015 წლის 5 აგვისტოს აკაკი წერეთლის სახელწიფო უნივერისტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება N54 (14/15)).** ასევე, სასწავლო პროცესის მართვის პოლიტიკა, კერძოდ, სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურა (აწსუ-ს აკადემიური საბჭოს **2018 წლის 27 თებერვლის დადგენილება N60 (17/18**) „სასწავლო პროცესის მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“). აწსუ-ს შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის, კვლევების, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების და პრაქტიკის შეფასების პროცედურა. აღნიშნული დოკუმენტები ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტს <u>გააჩნია ერთმანეთისგან მკაცრად გამიჯნული უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესები.</u>

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილულ იქნა სასწავლო ცხრილების დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის 2.9 პუნქტის თანახმად, პროფესიული მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ლექცია-პრაქტიკული მეცადინეობების დაწყება განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალურ - სამართლებრივი აქტით. ამ სამართლებრივ აქტებს წარმოადგენს ბრძანებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის დაწყებისა და ვადების განსაზღვრის შესახებ **(ბრძანება N01-04/55, 11.09.2018; ბრძანება N01-04/89, 29.11.2018).** სასწავლო ცხრილების დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, პროფესიული პროგრამების სასწავლო ცხრილების დაგეგმვა ხდება პროფესიული პროგრამების კოორდინატორის, დეკანების, დეკანის მოადგილისა და სასწავლო პროცესის კონტროლისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსის და განყოფილების თანამშრომლების ერთობლივი საქმიანობით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, უნივერსიტეტის სააუდიტორიო ფონდის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უნივერსიტეტის ვებგვერდზე https://atsu.edu.ge/index.php/shida-uzrunvelyofa-info/shida-uzrunvelyofa
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, დამტკიცებული სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ (დადგენილება №157; 28.02.2018 წ);
- რექტორის მიერ 12.12.2018 გამოცემული ბრძანება N01-04/93 2018 წლის საშემოდგომო მიღების, და 06.06.2019 გამოცემული ბრძანება N01-04/41 2019 წლის საგაზაფხულო მიღების მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის, პედაგოგის გამოკითხვის ფორმების, მეცადინეობებზე დასწრების ოქმის დამტკიცების შესახებ;
- დადგენილება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“;
- ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა;
- შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი;
- დანართები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული 2015-2016 წლის ანგარიშები შესრულებული სამუშაოს შესახებ.
- სასწავლო ცხრილების დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ბრძანებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის დაწყებისა და ვადების განსაზღვრის შესახებ.
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი მდებარეობს ქალაქ ქუთაისში. წარმოდგენილი პროგრამებისთვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სხვადასხვა სასწავლო კორპუსები შემდეგ მისამართებზე: **ახალგაზრდობის გამზირი N98, ახალგაზრდობის ქ. მე-2 შესახვევი 23.**

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მიწის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობების მესაკუთრეა სახელმწიფო, რომელსაც დაწესებულებისთვის სარგებლობის უფლებით აქვს გადაცემული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები.

ცხრილში მოცემულია დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ.ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი N98	**141 942,00**
2	ახალგაზრდობის გამზირი, შესახვევი II დაზუსტებული ფართობი: შენობა-ნაგებობების საერთო ფართი:	 **8 965.00** **3 874.15**

<u>აღსანიშნავია, რომ უსდ-ის განაცხადში მითითებული მისამართები - ორახელაშვილის ქ. 1 და ა..წერეთლის 192, არის იმ კომპანიების მისამართები, რომლებთანაც გაფორმებულია ხელშეკრულებები.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერებით საჯარო რეესტრიდან;
- ფაქტობრივი გარემოებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამების შემთხვევაში კვოტის განსაზღვრა ხდება შემდეგი მეთოდოლოგიით:

1. თუ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ A სასწავლო გარემოს, მაშინ ადგილების რაოდენობა იანგარიშება სასწავლო გარემოში არსებული სტუდენტის სასწავლო მერხების რაოდენობის მიხედვით;
2. თუ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ A სასწავლო გარემოსთან ერთად B სასწავლო გარემოსაც, მაშინ ადგილების რაოდენობა იანგარიშება არა მხოლოდ A-ს, არამედ B სასწავლო სასწავლო გარემოში არსებული სტუდენტის სასწავლო ადგილების რაოდენობის მიხედვით;
3. თუ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამა ითვალისწინებს A სასწავლო გარემოსთან ერთად C სასწავლო გარემოსაც, მაშინ ადგილების რაოდენობა იანგარიშება არა მხოლოდ A-ს, არამედ C სასწავლო სასწავლო გარემოში არსებული სტუდენტის სასწავლო ადგილების რაოდენობის მიხედვით.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამების შემთხვევაში ორ ცვლაში სასწავლო პროცესის წარმართვის შემთხვევაში ან ერთი წლის მანძილზე ერთდროულად საშემოდგომო და საგაზაფხულო მიღების შემთხვევაში შესაძლებელია 1, 2 და 3 პუნქტით გათვალისწინებული ადგილების რაოდენობის გაორმაგება.“

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა-საავტომობილო გზების მშენებლობა.

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა-30. ერთ მიღებაზე - 15.

პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A, B და C ტიპის სასწავლო გარემო.

A გარემო განკუთვნილია (მის. ახალგაზრდობის გამზირი №98, მე-7 კორპუსი, აუდიტორია №7204 (44 კვ.მ.)) – 15 პროფესიული სტუდენტისთვის; B გარემო განკუთვნილია (მის. ახალგაზრდობის გამზირი №98 მე-7 კორპუსი, აუდიტორია №7306 (42 კვ.მ.)) – 15 პროფესიული სტუდენტისთვის; C გარემო განკუთვნილია (მის. ახალგაზრდობის გამზირი №98, მე-7 კორპუსი, აუდიტორია №7204) -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

15 პროფესიული სტუდენტისთვის. A, B და C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია ყველა საჭირო მატერიალური რესურსით.

<u>**აღსანიშნავია, რომ დაწესებულების C გარემოში განხორციელდება მხოლოდ 2 მოდულის სწავლება - „საგზაო სამშენებლო სამუშაოების შეფასება“ და „საგზაო სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა“. დანარჩენი მოდულებისთვის გარემოს (პრაქტიკული მეცადინეობების 32 %) კომპანიები უზრუნველყოფენ. ეს მოდულებია - მიწის ვაკისის მოწყობა, პრაქტიკული პროექტი - საავტომობილო გზების მშენებლობა, საავტომობილო გზების მშენებლობის სამუშაო პროცესის ორგანიზება, საგზაო საფარის მოწყობა, არსებული საავტომობილო გზების ექსპლუატაცია - რეაბილიტაცია.**</u>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ქარგვა.

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა-20. ერთ მიღებაზე - 10.

პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია A, B და **C** ტიპის სასწავლო გარემო. A გარემო (აუდიტორია 224) აღჭურვილია საჭირო მატერიალური რესურსით პროფესიული მასწავლებლისთვის და 10 პროფესიული სტუდენტისთვის (10 მერხი, 10 სკამი). აღნიშნულ აუდიტორიაში სწავლება განხორციელდება 2 პროგრამის ფარგლებში. B გარემო განთავსებულია სხვა კორპუსში (ახალგაზრდობის გამზირი №98 მე-7 კორპუსი) - 10 პროფესიული სტუდენტისთვის. **C** გარემოდ გამოყოფილია 4 აუდიტორია მოდულების მიხედვით, კერძოდ:

C გარემო 1- აუდიტორიაში ხორციელდება მოდული - აკადემიური ხატვისა და ფერწერის საწყისები;

C გარემო (201ა) - აუდიტორიაში ხორციელდება მოდულები: გაცნობითი პრაქტიკა - საფეიქრო მასალის ღებვა, ქსოვილის მხატვრული მოხატვა (ბატიკა, შიბორი, დაჩითვა);

C გარემო (301ა) - აუდიტორიაში ხორციელდება მოდულები: გაცნობითი პრაქტიკა - მხატვრული ქსოვილები, საფეიქრო მასალათმცოდნეობის საწყისები, ჯვრულით ქარგვა, ორმხრივი და ნამაგრი სითვით ქარგვა, კვანძური და ქსოვილის ლენტური ქარგვა, მძივით ქარგვა და ქსოვა, შიბით ქარგვა და ქსოვა, ქართული ტრადიციული ქარგვა, პრაქტიკული პროექტი - მხატვრული ნაქარგობის დამზადება.

C გარემო (211ა) - აუდიტორიაში ხორციელდება მოდული - მანქანით ქარგვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ ოთხივე **C** გარემო სრულადაა აღჭურვილი საჭირო მატერიალური რესურსით.

3.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“.

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა-30. ერთ მიღებაზე - 15.

VII სასწავლო კორპუსის (ახალგაზრდობის გამზ. 98) აუდ. 319 გამოიყენება **C** გარემოდ, სადაც განთავსებულია 8 სამ ადგილიანი მერხი, 24 სკამი, მასწავლებლის მაგიდა სკამით, 1 ლეპტოპი, ელექტროტექნიკის სასწავლო სტენდები, ყველა საჭირო აღჭურვილობა რაც გათვალისწინებულია ჩარჩო დოკუმენტით. საერთო ფართი 50 კვ. მ.

VII[1] სასწავლო კორპუსის (ახალგაზრდობის გამზ. 98) აუდ. 07 გამოიყენება **A** გარემოდ. 8 სამადგილიანი მერხი სკამით, 1 ლეპტოპი, 1 პროექტორი, პროექტორის ეკრანი, აუდიტორიაში განთავსებულა ავტომობილის ძრავის და ტრანსმისიის მაკეტი, საერთო ფართი 36 კვ.მ.

VII სასწავლო კორპუსის (ახალგაზრდობის გამზ. 98) აუდ. 105 გამოიყენება **B** გარემოდ. 15 კომპიუტერის მაგიდა, 15 სკამი, 15 კომპიუტერის მაგიდა, მასწავლებლის მაგიდა სკამით, მასწავლებლის 1 კომპიუტერი, პრინტერი/ქსეროქსის აპარატი, საერთო ფართი 42 კვ.მ.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა-30. ერთ მიღბაზე-15.

IX სასწავლო კორპუსის (ახალგაზრდობის გამზ. 98) აუდ. 109 გამოიყენება **C** გარემოდ. სადაც განთავსებულია ავტომობილის მუშა მაკეტი. საერთო ფართი 25 კვ. მ.

VII სასწავლო კორპუსის (ახალგაზრდობის გამზ. 98) აუდ. 306 **გარემო B**, 16 კომპიუტერის მაგიდა, 16 სკამი, 16 კომპიუტერი, მასწავლებლის მაგიდა სკამით, მასწავლებლის 1 კომპიუტერი, 1 პროექტორი, დაფა, პროექტორის ეკრანი, 1 წიგნების თარო. საერთო ფართი 36 კვ. მ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება“.

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა-30. ერთ მიღებაზე - 15.

VII სასწავლო კორპუსის (ახალგაზრდობის გამზ. 98) აუდ. 203 გარემო B, 20 კომპიუტერის მაგიდა, 20 სკამი, 20 კომპიუტერი, მასწავლებლის მაგიდა სკამით, მასწავლებლის 1 კომპიუტერი, 1 პროექტორი, 1 პრინტერი/ქსეროქსი/სკანერი, დაფა, პროექტორის ეკრანი. საერთო ფართი 40 კვ. მ.

VII[1] სასწავლო კორპუსის (ახალგაზრდობის გამზ. 98), აუდ. 09 გარემო A – 5 სამ ადგილიანი მერხი, 15 სკამი მასწავლებლის მაგიდა სკამით, 1 ლეპტოპი, 1 პროექტორი, დაფა, 2 წიგნების თარო. საერთო ფართი 30კვ.მ.

ასევე სამივე პროგრამისთვის - C გარემოდ გამოიყენება (ახალგაზრდობის გამზირ 98) მე-11 სასწავლო კორპუსში განთავსებული 540 კვ.მ. ფართის მსუბუქი ავტომობილების შეკეთების ლაბორატორია. ლაბორატორიაში დამონტაჟებულია: 1. ორპორტიანი ამწე 2 ცალი, 2. სამუშაო ორმო - 2 ცალი, 3. მაკრატელა ამწე, 1 ავტომობილი - რომელიც გამოიყენება პრაქტიკული სამუშაოებისათვის. ლაბორატორია აღჭურვილია ასევე ყველა იმ მოწყობილობებით რომელსაც ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტი შედეგების მისაღწევად.

დაწესებულება IX სასწავლო კორპუსში (ახალგაზრდობის გამზირი 98) აუდიტორია 9106-ში ახორციელებს სამივე პროგრამის მოდულს „საზეინკლო საქმის საფუძვლებ“-ს, სადაც განთავსებულია A და C გარემო.

A გარემოში განთავსებულია: 6 ერთადგილიანი მერხი, 6 სკამი, 1 კომპიუტერი, 1 ლეპტოპი, დაფა, 1 წიგნების თარო, 1 პროექტორი. საერთო ფართით 70 კვ. მ.

დაწესებულების მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის ლაბორატორიას იყენებს C გარემოდ, სადაც განთავსებული დანადგარებიდან კონკრეტული მოდულის განხორციელებისათვის იყენებს მხოლოდ 2 საბურღ ჩარხს და 1 სალეს ჩარხს, ასევე განთავსებულია ხუთი ლითონის ინდივიდუალური მაგიდა საზეინკლო სამუშაოების ჩასატარებლად ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული ყელა საჭირო ინვენტარით და აღჭურვილობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა აზრით, დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერება;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
- შესყიდვის დოკუმენტაცია;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტები;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- ფაქტობრივი გარემოება.

შეფასება

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო კორპუსებში, სადაც დაწესებულება აპირებს განახორციელოს წარმოდგენილ პროფესიულ საგანამანთლებლო პროგრამებზე სწავლება, არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კომუნალური ხარჯებისთვის გადახდილი ქვითრებით;
- შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის განყოფილება https://library.atsu.edu.ge/structure.html, სადაც მოცემულია ჩამოსაშლელი მენიუ - სიახლეების, ახალი გამოცემების, ნორმატიული აქტების, ბიბლიოთეკათშორისი სერვისების, გზამკვლების, წიგნების ელექტრონული შეკვეთის შესახებ. ვებგვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის სტრუქტურა. უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი (OPAC), სადაც ასახულია სახელმძღვანელოები, რომელიც საჭიროა წარმოდგენილი პროგრამებისთვის. ბიბლიოთეკართან გასაუბრებით ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სწავლის დაწყებამდე ყველა პროგრამისთვის საჭირო სახელმძღვანელო ემატება ელექტრონულ კატალოგს.

ბიბლიოთეკაში არის - წიგნსაცავის, მომსახურების, ჰიგიენისა და რესტავრაციის განყოფილება; დაკომპლექტება-დამუშავების განყოფილება; საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება; კატალოგიზაციის განყოფილება; ბიბლიოთეკის განვითარებისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება; მუზეუმი. **ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს დირექტორი, თვითოეული განყოფილების გამგე და 5 ბიბლიოთეკარი, ასევე მუზეუმის თანამშრომელი.** ვებგვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის დებულება დამტკიცებული სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ **(დადგენილება №158; 2018 წლის 28 თებერვალი)**. დებულებაში გაწერილია ბიბლიოთეკის ფუნქცია - მოვალეობები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიბლიოთეკის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა, ბიბლიოთეკის პერსონალი და სხვ. ელექტრო რესურსების განყოფილებაში მოცემულია სამეცნიერო ბაზების, ინგლისურ - ქართული და სპეცლექსიკონების, ელექტრო ბიბლიოთეკისა და სასარგებლო ბმულების მენიუ. ასევე განთავსებულია ელ. კატალოგი. დაინტერესებულ პირებს შეუძლია ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის ოთახის დაჯავშნა. ასევე სამეცნიერო ჟურნალების გაცნობა. განსაზღვრულია ბიბლიოთეკის სამუშაო საათები 9:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსშის ეზოში აგებულია თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა და წიგნსაცავი. სამკითხველო დარბაზში განთავსებულია კომპიუტერები და უზრუნველყოფილია ინტერნეტის მუდმივი მიწოდება, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; **ბიბლიოთეკით შეუზღუდავად შეუძლიათ ისარგებლონ უნივერსიტეტის პროფესიულმა სტუდენტებმა;**

დაწესებულების ბიბლიოთეკის წიგნსაცავი უზრუნველყოფილია უახლესი ავტომატური ხანძარსაქრობი სისტემით "NOVEC 1230", რომლის გამოყენების შემთხვევაშიც წიგნები გადაურჩება დაზიანებასა და დასველებას.

ბიბლიოთეკაში წიგნები გატარებულია საინვენტარო წიგნში დადგენილი წესის შესაბამისად.

სხვადასხვა სასწავლო კორპუსები, სადაც დაგეგმილია წარმოდგენილი პროფესიული პროგრამების განხორციელება, უზრუნველყოფილია მოდულებში მითითებული ლიტერატურით.

ექსპერტთა მიერ შერჩევით გადამოწმდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსი, მათი შეფასებით დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების მოდულებში მითითებულ ლიტერატურას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უნივერსიტეტის ვებგვერდი https://library.atsu.edu.ge/structure.html,
- ვიზუალური დათვალიერება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

- ფაქტობრივი გარემოება;
- ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნები;
- ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონული კატალოგები;
- დაწესებულების ვებ-გვერდი;
- წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აწსუ-მ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის კომპიუტერული ტექნიკის გადანაწილების დოკუმენტები, ასევე გასავლის ზედდებულები **(N1943; 1939),** სადაც ჩანს კომპიუტერული ტექნიკის რაოდენობები და მათი გადანაწილება პროგრამების განმახორციელებელი დეპარტამენტების მითითებით სხვა საჭირო მატერიალურ რესურსთან ერთად.
უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებები შპს „ახალი ქსელებთან“, სს „სილქნეტთან“. ვებ გვერდის ფუქნციონირებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება წამორდგენილია ა(ა)იპ-„საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია - გრენასთან“.
ექსპერტთა ვიზიტის დროს შემოწმდა პროფესიული პროგრამების განხორციელებისათვის გამოყოფილი კომპიუტერული ტექნიკა. კომპიუტერები გამოყოფილია პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის, ასევე ადმინისტრაციისთვის. პროფესიული სტუდენტების კომპიუტერები არის შემდეგი მონაცემებით:

ქარგვის პროგრამის

1. Processor: AMD A8 -5500APU with Radeon(tm) HD Graphics 3.20 GHz
   Memory (RAM): 4,00 GB
   System Type: 64 bit OS x64-based processor

სხვა პროგრამებისათვის

2. Processor: Intel (R) Core (TM) i3-4150CPU@3.50 GHz
   Memory (RAM): 4,00 GB
   System Type: 64 bit OS x64-based processor

ექსპერტთა მიერ ადგილზე გადამოწმდა კომპიუტერული ტექნიკა. კომპიუტერებს აქვს ინტერნეტ ქსელთან თავისუფალი წვდომა. ასევე, მათში ჩატვირთულია პროგრამების და შესასრულებელი სამუშაოების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მოიცავს 900-მდე დასახელების ტექნიკას. 2018 წლის სექტემბრიდან დღემდე შეძენილია 74 სამაგიდო კომპიუტერი, 24 ნოუთბუკი, 12 პროექტორი და 29 ქსეროქსი. ქ. ქუთაისში ახალგაზრდობის გამზირი N98-ში ფუნქციონირებს თავისუფალი დასწრების ინტერნეტ ლაბორატორია 32 ერთეული სამაგიდო კომპიუტერით. მიმდინარე წლის ბოლომდე უნივერსიტეტი გეგმავს 40 პერსონალური კომიუტერის, 10 ნოუთბუკის და 20 ქსეროქსის შეძენას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- გასავლის ზედდებული N1943;
- გასავლის ზედდებული N1939.
- ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N1, 2018 წლის 21 დეკემბერი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N3, 2018 წლის 28 დეკემბერი;
- ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N4, 2018 წლის 28 დეკემბერი.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აწსუ-მ წარმოადგინა 2018 წლის 1 მარტს დამტკიცებული საქმისწარმოების წესი (ბრძანება N01-04/8), რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ საფუძველზეა შედგენილი.

ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელდა კანცელარიაში ვიზიტი, სადაც ადგილზე შემოწმდა აქტებისა და კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალები და ელექტრონული ბაზები, გამოცემული აქტები და კორესპონდენცია (თანამშრომელთა ბრძანებების წიგნი; მივლინების წიგნი; აკადემიური საბჭოს დადგენილებების სარეგისტრაციო წიგნი; წარმომდგენლობითი საბჭოს დადგენილებების სარეგისტრაციო წიგნი). დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები დანომრილია, ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ, ბეჭედ დასმული და აკინძულია. დაწესებულების ოფიციალური აქტები და წერილები გაფორმებულია უნივერსიტეტის ბლანკზე. ყველა სტრუქტურული ერთეულისთვის უნივერსიტეტს აქვს ერთი კანცელარია, სადაც მუშაობს 8 თანამშრომელი - მათ შორის საქმეთა მმართველი, კანცელარიის უფროსი, 4 სპეციალისტი და 2 კურიერი. ასევე ყავთ 5 არქივის თანამშრომელი.

კანცელარიის ფუნქცია - მოვალეობებია - დოკუმენტებზე მუშაობის მეთოდების სრულყოფა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქმისწარმოების ერთიანი წესების, სახელმწიფო სტანდარტებისა და სხვა მოქმედი ნორმატივების შესაბამისად დოკუმენტირების, დოკუმენტებზე მუშაობის ორგანიზაციის, საინფორმაციო–საძიებო სისტემების, შესრულების კონტროლისა და დოკუმენტების არქივში გადასაცემად მომზადების უზრუნველყოფა; დოკუმენტბრუნვის შემცირება, დოკუმენტების ფორმების უნიფიკაცია; საქმისწარმოების განხორციელება eflow-ს მეშვეობით; უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისათვის eflow–ში დახმარების გაწევა საქმისწარმოებისა და საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებში; დოკუმენტების საარქივოდ დამუშავება; შემოსული დოკუმენტების eflow–ში დროული განხილვისა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისათვის წარდგენის ორგანიზაცია, ხელმძღვანელობის ხელმოსაწერად წარსადგენი დოკუმენტების გაფორმების სისწორის კონტროლი; დოკუმენტების შესრულების მიმდინარეობის, დადგენილ ვადაში მათი გავლის, გაფორმებისა და შესრულების კონტროლის რეგულირება; უნივერსიტეტის საქმეთა ნომენკლატურის შემუშავება, საქმეთა შენახვისა და დოკუმენტური ინფორმაციის ოპერატიული გამოყენების უზრუნველყოფა; შემოსული კორესპონდენციის დახარისხება და დაგზავნა; უნივერსიტეტის კანცელარიის პერსონალის სამუშაო პირობების ორგანიზაცია; უნივერსიტეტში საარქივო საქმის წარმოების უზრუნველყოფა.

ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებაში გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა მიმდინარეობს საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბრძანება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების წესი;
- აქტებისა და კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალები და ელექტრონული ბაზები.
- გამოცემული აქტები და კორესპონდენცია.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების შინაგანაწესში გაწერილია შრომის დაცვის და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების დაცვის ზოგადი ინსტრუქციები.

დაწესებულება აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. ექსპერტებმა ვიზიტის დროს შეამოწმეს ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. ცეცხლმაქრის მოქმედების ვადა განსაზღვრულია 2019 წლით. სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილასაა გამოკრული ევაკუაციის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ.

დაწესებულებაში (ყველა კორპუსში) არის სამედიცინო პუნქტები. მედდასთან გაფორმებულია ხელშეკრულება, სამედიცინო პუნქტი აღჭურვილია მედიკამენტებით და პირველი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო მატერიალური რესურსით. ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ მედდას და გადაამოწმეს მედიკამენტების ვადები, ყველა მათგანი ვადიანია.

წესრიგის დაცვისათვის გაფორმებულია ხელშეკრულება კომენდანტთან და დაცვის თანამშრომლებთან; გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეოკამერებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები;
- დაწესებულების შინაგანაწესი;
- საევაკუაციო გეგმა;
- ხანძარსაწინააღმდეგო და სამედიცინო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- წესრიგის დამცველებთან და სამედიცინო პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7.დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ახალგაზრდობის გამზირი N98-ში განხორციელდება შემდეგი პროგრამები - „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“, „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ და „საავტომობილო გზების მშენებლობა“. აუდიტორიებამდე მისასვლელად არ არის ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. ადაპტირებულია სველი წერტილი პირველ სართულზე. ასევე, სველ წერტილამდე მისასვლელი კიბეები, სადაც მოწყობილია „რელსები“. ექსპერტთა აზრით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულ „რელსებზე“ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) მქონე პირს დამოუკიდებლად გადაადგილება (ამოსვლა) გაუჭირდება.

ახალგაზრდობის გამზირი N98-ში განთავსებული პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო ორი „C“ გარემოდან ერთ შემთხვევაში ადაპტირებულია შენობაში შესასვლელი და შენობიდან გამოსასვლელი ადგილები ბეტონის პანდუსებით.

ახალგაზრდობის ქ. მე-2 შესახვევი 23-ში სწავლება განხორციელდება პროგრამაზე - „ქარგვა“. აუდიტორიებამდე მისასვლელად არ არის ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) მქონე სტუდენტების შემთხვევაში, პირველ სართულზე ჩაიტანენ იმ საჭირო ინვენტარს, რომ სტუდენტმა შეძლოს სწავლა შეუფერხებლად. თუმცა სველი წერტილები არ არის ადაპტირებული.

ექსპერტთა აზრით, სასწავლო გარემო <u>არ არის სრულად ადაპტირებული</u> სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.

ექსპერტებს წარმოუდგინეს აკადემიური საბჭოს მიერ 2018 წლის 24 იანვარს N146 დადგენილებით დამტკიცებული „სანიტარული ნორმების დაცვის, წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ადაპტირებული გარემოს განვითარების გეგმა“, სადაც გაწერილია ლიფტებისა და დამატებითი სანიტარული კვანძების ეტაპობრივად მოწყობა.

ექსპერტებს დაწესებულებამ ასევე წარმოუდგინა არგუმენტირებული პოზიცია 2018 წელს განხორციელებული ვიზიტის შემდეგ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებებთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია, რომ დაწესებულება 5 წლის განმავლობაში ეტაპობრივად გეგმავს დამატებითი ლიფტებისა და სანიტრული კვანძების მოწყობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის დროს ექსპერტები გაეცნენ უნივერსიტეტის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმას, სადაც 2019-2020 წლებში დაგეგმილია ინკლუზიური მიდგომების პოლიტიკის შემუშავება და განვითარება.

აღსანიშნავია, რომ პროფესიულ პროგრამებზე სწავლობს 2 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) მქონე სტუდენტი. მათ მოსვლა უჭირთ უნივერსიტეტამდე დამოუკიდებლად. უნივერსიტეტმა თვითოეული სტუდენტისთვის მოიპოვა დაფინანსება 1000 ლარის ოდენობით და უზრუნველყოფენ მათ მოყვანას დაწესებულებაში. უნივერსიტეტში ამ სტუდენტებს არ უჭირთ გადაადგილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში არის ერთი ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. საჭიროების შემთხვევაში მოიწვევენ დამატებით კადრს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ფაქტობრივი გარემოება;
- ვიზუალური დათვალიერება;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- აკადემიური საბჭოს მიერ 2018 წლის 24 იანვარს N146 დადგენილებით დამტკიცებული „სანიტარული ნორმების დაცვის, წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ადაპტირებული გარემოს განვითარების გეგმა“;
- 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა;
- ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებებთან დაკავშირებით არგუმენტირებული პოზიცია (2018 წელი).

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☒ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების ვებ-გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. დაწესებულების ვებგვერდი ოპტიმიზირებულია შშმ პირებისთვის.

ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების მისია, დაწესებულების სტრუქტურა, ფაკულტეტები, სამსახურების დებულებები, დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, საკონტაქტო ინფორმაცია, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის ჩამონათვალი, პროფესიული პროგრამებისთვის სახელმძღვანელო დოკუმენტები, პრომო და ანიმაციური ვიდეო რგოლები და სხვა.
ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად. ვებგვერდი იძლევა უკუკავშირის შესაძლებლობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი https://atsu.edu.ge/index.php
- დომენის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

2.9.შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
აწსუ-ს მისია განთავსებულია ვებ გვერდზე: https://atsu.edu.ge/index.php/mission-geo და ის ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის. მისიაში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტი აკადემიურ პროგრამებთან ერთად ახორციელებს პროფესიულ პროგრამებსაც. უნივერსიტეტის მისიის თანახმად აწსუ-ს მიზანია წვლილი შეიტანოს ქალაქის, რეგიონის და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში.
აწსუ-მ ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა სტრატეგიული და საქმედო გეგმები დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ. ასევე, უნივერსიტეტის საიტზე აქვს წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა: https://atsu.edu.ge/index.php/strategic-plan-geo და მისი ინდიკატორების მონიტორინგის გეგმა. როგორც სტრატეგიულ გეგმაში, ასევე მისი მონიტორინგის გეგმაში ცალკეა გამოყოფილი პროფესიული პროგრამების მიმართულებით განსახორციელებელი/განხორციელებული საკითხები. აწსუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს აღინიშნა, რომ წარმოდგენილი პროფესიული პროგრამების შემუშავება ეფუძნებოდა რეგიონის საჭიროებებს, რიგ შემთხვევებში კი იმ დარგების განვითარების პროგნოზებს, რომელთა განვითარება რეგიონში სამომავლოდაა დასახული, კერძოდ, მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება დაკავშირებულ იქნება ქუთაისში ელექტრომობილების ქარხანასთან, ისევე, როგორც, პროფესიული პროგრამა „საავტომობილო გზების მშენებლობა“ რეგიონში აქტიურად მიმდინარე საავტომობილო გზების მშენებლობისათვის პროფესიული კადრების მომზადებისაკენ იქნება მიმართული.
აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უსდ-ს გარდა უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა, შემუშავებული აქვს 2017-2020 წლების პროფესიული განათლების სტრატეგია, რომლის საფუძველზეც არის მომზადებული სამოქმედო გეგმა კონკრეტული ღონისძიებების და განხორციელების პირობების შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია უნივერსიტეტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პოზიცია პროფესიული განათლების დარგში, სადაც პროფესიული პროგრამების მიხედვით განსაზღვრულია სამიზნე სტუდენტები და მოცემულია სტუდენტის დასაქმებისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობები. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული საგანამათლებლო პროგრამით, წარმოდგენს პროფესიულ სტუდენტს, ამიტომ აუცილებელია აღნიშნულ დოკუმენტში სტუდენტი ჩანაცვლდეს პროფესიული სტუდენტით. ასევე, ზოგიერთი პროფესიული პროგრამისთვის (ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი; ფეხსაცმლის და ტყავის აქსესუარების სპეციალისტი; ფეხსაცმლის ხარისხის მართვის სპეციალისტი) სტუდენტის დასაქმებისა და კარიერული ზრდის ველში გვხვდება ბაკალავრიატის სტუდენტთა დასაქმების შესახებ მონაცემები. პროფესიული განათლების სტრატეგიას თან ერთვის გარემოს ანალიზი და დაწესებულების შესაძლებლობების შეფასება. ექსპერტთა აზრით აღნიშნულ დოკუმენტში უნდა გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები.

აწსუ-ს მიერ წარმოდგენილია პროფესიული პროგრამების სექტორის 2017-2019 წლების სამოქმედო გეგმები, სადაც ჩანს შესასრულებელი აქტივობის ჯერადობა, შესრულების პერიოდი, შემსრულებელი და მოძრაობა. მიუხედავად 2018 წლის ავტორიზაციის დასკვნის რეკომენდაციისა, სამოქმედო გეგმის ყოველწლიური ანგარიშები კვლავ წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიურ ანგარიშში. ვებგვერდზე არ იხსნება QA პოლიტიკის ბმული.

ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები განთავსებულია ვებ გვერდზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება N47(17/18) აწსუ-ს მისიის; სტრატეგიული განვითარების გეგმისა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმის (სამწლიანი, ფინნსური უზრუნველყოფის სქემით); სტრატეგიული და ოპერაციული დაგეგმვისა და შეფასების პროცედურის; სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის გეგმის დამტკიცების შესახებ;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების სტრატეგია 2017-2020;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული პროგრამების სექტორის 2017-2019 წლების სამოქმედო გეგმები;
- აწსუ-ს ვებ გვერდი.

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **2013 წლის 9 სექტემბერს ბრძანებით №132/ნ** დამტკიცებული წესდებით განსაზღვრულია უნივერსიტეტის სტრუქტურა, რომელიც განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე; უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და უფლებამოვალეობები.
დაწესებულების პერსონალია - რექტორი, რექტორის მოადგილე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, რექტორის აპარატის უფროსი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, ხარსისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესიული პროგრამების კოორდინატორი, რეესტრის მწარმოებელი, დეკანი. ადმინისტრაციული თანამდებობის დაკავების ან მართვის ორგანოს წევრობის წინაპირობაა - აკადემიური თანამდებობის დაკავება. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი განსაზღვრულია დაწესებულების წესდებით და აკადემიური და დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესით.

აწსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამისთვის აქვს პროგრამის განმახორციელებელი პედაგოგების ცხრილი. ცხრილში გაწერილია მოდულის დასახელება, რომელსაც ახორციელებს პედაგოგი, კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ყველა მათგანის კვალიფიკაცია შესაბამისია მოდულისა, რომელსაც ისინი განახორციელებენ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ვიზიტის დროს შემოწმდა პროფესიული საგანამათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პედაგოგთა პირადი საქმეები. წარმოდგენილია რექტორის ბრძანება მათ მიერ პროფესიული მოდულების განხორციელების შესახებ. ასევე, აკადემიური პერსონალის შემთხვევაში წარმოდგენილია მათი უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულებები. <u>მიუხედავად 2018 წლის ავტორიზაციის დასკვნის რეკომენდაციისა, შრომითი ხელშეკრულების ერთიანი სრულყოფილი ფორმა ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული.</u> პროფესიული პროგრამების განმახორციელებელთა CV-ების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების მიხედვით, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს ცალკე არ აქვს ჩამოყალიბებული პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თუმცა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტში არის ჩანაწერი მათი სამსახურში მიღების წესის შესახებ.
უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უახლოეს მომავალში გეგმავს პროფესიული სწავლების პროცესზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბებას.
ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ შემოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს და დაწესებულებს მიერ განსაზღვრულ წესებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალის პირადი საქმეები;
- აწსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში წარმოდგენილია პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის და მასწავლებლის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წესის შესახებ. პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის არჩევა ხდება დეპარტამენტის სხდომაზე და დანიშვნა ხდება რექტორის ბრძანებით. რაც შეეხება პროფესიული მასწავლებლის მიღებას, მოითხოვება შესაბამისი კვალიფიკაციის ან/და პროფესიით მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, პროგრამის ხელმძღვანელის და დეპარტამენტის ხელმძღვანელის რეკომენდაციების საფუძველზე და ფორმდება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. ასევე, შესაძლებელია პროფესიული მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად რექტორის ბრძანებით გამოცხადდეს კონკურსი. ექსპერტთა ვიზიტის დროს აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოწვეული პროფესიული მასწავლებლების სამსახურში აყვანა განხორციელდა პირადი რეკომენდაციების შედეგად, რომლის შედეგად ჩატარდა მათთან გასაუბრება და ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილი არიან პროფესიულ მასწავლებლებად.

ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ.

მიმდინარე ეტაპზე დაწესებულებაში 124 აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტია.
წარმოდგენილია დაწესებულების განმახორციელებელი პერსონალი პროგრამების მიხედვით:
„საავტომობილო გზების მშენებლობა“

- პროგრამის განმახორციელებელი - 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი

„ქარგვა“

- პროგრამის განმახორციელებელი - 21 პროფესიული განათლების მასწავლებელი

„მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“

- პროგრამის განმახორციელებელი - 22 პროფესიული განათლების მასწავლებელი

„მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“

- პროგრამის განმახორციელებელი - 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება“

- პროგრამის განმახორციელებელი - 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი

ყველა პროგრამის განმახორციელებელ პირთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები, თითოეულ მათგანში მითითებულია შესაბამისი მოდულები.

სასურველია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალისთვის მოეწყოს ვორკშოპები, ტრენინგები და საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები მოდულური პროგრამების სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში.

დასტურდება:

- განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრება;
- განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- საინფორმაციო ბაზით evet.emis.ge.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელის დანიშვნა და განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებელთა შერჩევა აწსუ-ში ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს 2015 წლის 2 ივლისის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება (N32) დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტი მოქმედებს ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დამხმარე პერსონალისთვის. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით წარმოსადგენი დოკუმენტები. მათ შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან განსაზღვრავს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, კონკურსის შემთხვევაში - საკონკურსო კომისია.

პროფესიულ პროგრამებს ახორციელებენ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და მოწვეული პროფესიული პედაგოგები. აკადემიური პერსონალის შემთხვევაში წარმოდგენილია შრომითი ხელშეკრულებები. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის ავტორიზაციის დასკვნის რეკომენდაცია შრომის კოდექსის შესაბამისად შედგენილი ხელშეკრულების ფორმა კვლავ რეკომენდაციად რჩება. პირადი საქმეები ერთნაირი ფორმით არ არის წარმოდგენილი, კერძოდ, იგულისხმება დოკუმენტების ნუსხა, რომლისგანაც შედგება პირადი საქმეები. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან დაწესებულებას გაფორმებული აქვს <u>წინარე ხელშეკრულებები,</u> სადაც გაწერილია პროფესიული პროგრამის და მოდულების დასახელება და ის არსებითი პირობები, რომელიც გათვალისწინებული იქნება მხარეებს შორის დადებულ შრომით ხელშეკრულებაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- აწსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- აწსუ-ს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესი.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

მოთხოვნილი პროგრამებისთვის სტუდენტების ზღვრული რაოდენობა არის 140.

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	საავტომობილო გზების მშენებლობა (მოდულური მიდგომით)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში 0732	90	105	ქართული	ქ. ქუთისი 1.ახალგაზრდობის გამზ. 98; 2.ორახელაშვილის ქ. 1; 3.წერეთლის 192.	-	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

2	ქარგვა (მოდულური მიდგომით)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ქარგვაში 0214	75	90	ქართული	ქ. ქუთისი 1.ახალგაზრდობის გამზ. 98; 2.ახალგაზრდობის ქ. მე-2 შესახვ. 23	-	20
3	მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება (მოდულური მიდგომით)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში 0716	81	96	ქართული	ქ. ქუთისი 1.ახალგაზრდობის გამზ. 98; 2.ორახელაშვილის ქ. 1;	-	30
4	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება (მოდულური მიდგომით)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში 0716	58	73	ქართული	ქ. ქუთისი 1.ახალგაზრდობის გამზ. 98; 2.ორახელაშვილის ქ. 1;	-	30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

5	მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება (მოდულური მიდგომით)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში 0716	57	72	ქართული	ქ. ქუთისი 1.ახალგაზრდობის გამზ. 98; 2.ორახელაშვილის ქ. 1.	-	30

გ) ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პრიოფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული გახათლების საფეხური / დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

IX. თანდართული დოკუმენტაცია

-

10.09.2019
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)